ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 14.05.269

" 19 " აპრილი 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის პირველი პუნქტისა და 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს N20-79 დადგენილების, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს N33.17.995 განკარგულების საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის 18 აპრილის N1 სხდომის ოქმის გათვალისწინებით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.გამოცხადდეს კონკურსი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 24 აპრილი.

3. კონკურსის გამოცხადების დღიდან განცხადების წარსადგენად განისაზღვროს 10 დღიანი ვადა.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202